

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №9

ქ. მარტვილი

21 მაისი 2019 წელი

სხდომა დაიწყო 14 სთ-ზე დამთავრდა 16სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ელდარ თოდუა, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ვახტანგ კეკელია, ვარლამ ცეკვავა, მიხეილ ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ბონდო თოფურია,

ა/ო „პარტნიორები დემოკრატიის განვითარებისთვის“ წარმომადგენელი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის განკარგულება №19 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს „სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ახალი ქსელები“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
4. „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მაგთიკომი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
6. სხვადასხვა

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს „სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის N42 განკარგულების პირველ პუნქტში შედის შესაბამისი ცვლილება, კერძოდ, აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცეს სს „სილქნეტს“ უძრავი ქონება შემდეგი პირობით: მოსახლეობის ინტერნეტით მომსახურებისთვის გარე განათების ბოძების სარგებლობისათვის უზრუნველყოს თითოეულ ბოძზე ყოველწლიურად 2,5 ლარის გადახდა 2 წლის ვადით და საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: თორნიკე ჯანაშიამ დასვა კითხვა თუ რით იყო გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები აღნიშნულ განკარგულების პროექტებში, რაზეც ალექსანდრე ხურცილავამ უპასუხა რომ, აღნიშნულ განკარგულებებში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ განკარგულებებში საიჯარო ქირის საფასურის გადახდა განსაზღვრული იყო დღგ-ს ჩათვლით, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერია არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად არ არის რეგისტრირებული როგორც დღგ-ს გადამხდელი აქედან გამომდინარე საჭიროა

ზემოთაღნიშნულ განკარგულებების პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნას ტერმინი– დღგ–ს ჩათვლით.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს „სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სს „სილქნეტი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულება №20 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ახალი ქსელები“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N81 განკარგულების 1-ლი პუნქტში შედის ცვლილება, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერია არ არის დღგ-ს გადამხდელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ახალი ქსელები“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ახალი ქსელები“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ; განკარგულება N21 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მაგთიკომი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N53 განკარგულების 1-ლი პუნქტიში შედის ცვლილება, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერია არ არის დღგ-ს გადამხდელი.

ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ გამოითქვა მოსაზრებები და დაისვა შესაბამისი კითხვები, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეკლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მაგთიკომი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მაგთიკომი“-სთვის სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების პირობით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულება N22 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/მ/-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მიმოხილვა ნაზარდი ჯამით, და გააკეთა მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეკლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ განკარგულება და შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ განკარგულება N23 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოსმინეს 6: ხვადასხვა. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკრებულოში განცხადებით შემოვიდა ა/ო „პარტნიორები დემოკრატიის განვითარებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ბატონი მიშიკო ჩხოლარია, რომელიც წერილობით ითხოვს მათი ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა მცირე პრეზენტაციის სახით წარდგინონ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

მათ მიეცათ აღნიშნული პრეზენტაციის ჩატარების შესაძლებლობა და აღნიშნეს, რომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორები დემოკრატიის განვითარებისთვის“ 2014 წლიდან საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორების მხარდაჭერით პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

ორგანიზაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს მარტვილის მუნიციპალიტეტი გამოვიდეს ინიციატივით, რაც პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირებისთვის მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამის დანერგვას გულისხმობს. რომლის კარგი პრეცედენტიც გვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახით. თქვენს მიერ, აღნიშნული პროექტის მოწონების შემთხვევაში მოხდეს მისთვის შესაბამისი სახის მიცემა და საკრებულოს მორიგ სხდომაზე ღია კენჭისყრა.

ასევე საკრებულოს წინაშე სიტყვით გამოვიდა მოქალაქე კობა ჯანაშია, რომელმაც საკრებულოს წევრებს საკუთარი თავი წარუდგინა როგორც ტურიზმის სფეროში სამეწარმეო საქმიანობით მოღვაწე პიროვნება და გამოხატა სურვილი, რომ მისი ბიზნესი დაუკავშიროს მარტვილს და აღნიშნული სფეროს განვითარების მიზნით ითხოვა მხარდაჭერა შესაბამისი სამსახურებიდან.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია